ფასი 10 კაპ.

იუმორისტული ჟურნალი

# ეშმაკის მათრახი



№ 11



## პროვინციის სამკითხველოები

პროვინციის სამკითხველო.

ამ წერილის წამკითხველო
პატივცემულო მკითხველო!
ერთი ნახე რა დღეშია
პროვინციის სამკითხველო!

რეაქციით ქედ მოხრილი
უხმოთა სდგას, ფერ მიხდილი,
ციებიან ქათამსავით
სნეული, ფრთებ ჩამოყრილი.

კარი ყველგან დახურული
დაჭედილი, დალურსმული,
ზოგან (თითქო შნოისათვის)
ბეჭედი აქვს ზედ დასმული.

მას არ უჩანს არსით შველა,
ჩამოშორდა თითქმის ყველა
და წიგნები თუ რამ იყო
სულ თაგვებმა დაიხელა.

ცალ-ცალკე და ზოგან ჯგუფი
დახტუნაობს, მოსდის ჩხუბი,
და წიგნთ-საცავ-სამკითხველო
დღეს გამხდარა თაგვთა კლუბი.

რაც მწერალმა გაიტანა,
(ჩუმათ ვიტყვი აქ თქვენთანა)
მასაც ის დღე გაუთენდა,
რაც სხვა წიგნებს თაგვებთანა.

ტოროლა.



### ეშმაკის მოგზაურობა.

ყურში ჩამესმის ხმა საშინელი,
საზარელ სურათს ხედავს თვალები...
ერთს ჩამოვივლი მათრახით, თორემ
მეტათ გამრავლდენ ბნელი ძალები.

—

ცხინვალში ნაშუადღევის სამ საათზე მივედი და დავიბარე ყველანი, ვინც ეს ერთი თვეა მეხვეწებოდა შემეყლო როგორმე და ბ-ნი № გამემათრახებია. ისინიც მოვიდენ რასაკვირველია.

— თქვენ, ამხანაგებო, სცდებით ვუთხარი მე წყნარათ. იმ ანდაზისა არ იყოს „ცხენს ვერ მოერივნენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო", იქნებ თქვენც პატარა მოხელეს ეცით და დიდი კი განზე გრჩებათ.

— რას ბრძანებთ, რას ბრძანებთ, თქვენი ჭირიმე, ერთხმათ წამოიძახეს დამსწრეებმა, მაგან სწორეთ შეაწუხა აქაურობა. ჯერ მარტო ეს გასინჯეთ, ბ-ნო ეშმაკო, ჯამაგირი თვეში ხუთი თუმანი აქვს და ხარჯავს ორას-სამას მანეთს.

— რა ვუყოთ, ეს შეიძლება, იქნებ სამსახურში **გამოსარჩენი** აქვს. არა, ეს არაფერია, მიუგე მე კვალად დამშვიდებულს კილოთი.

— ძალიან კარგი, დაიწყეს ცხინვალელებმა, ეს ვსთქვათ გამოსარჩენია, მაგრამ ყველა ქურდობისა და ავაზაკობისათვის დაჭერილებს რომ მისი თავდებობით ანთავისუფლებენ არც ეს არის დანაშაული?

— როგორ არა გცხვენიათ ამხანაგებო! თითქო გამოცდილ პირებსა გევხართ. ჩვენი მთავრობა იმისთვისა ყავთ განრისხული რომ გულცივია და მტყუანთან ერთად მართალსაც სჯის და ეს თქვენი გმირი თუ მტყუანსაც ანთავისუფლებს ბარაქალა მის ვაჟკაცობას. რა ვუყოთ თუნდ ფულიც აილოს ასეთ კეთილ საქმეში!

— ეგ რაები გვესმის ბ-ნო ეშმაკო? ჩვენ სულ სხვას მოველოდით თქვენგან. მაშ ყველაფერი არაფერი ყოფილა. მაშ ისიც არაფერია, რომ ვისაც სულხანოვის ქვრივით გლეხკაცების გატყავება უნდა ყველანი მასთან მიდიან; ქალები თუ არიან ეარშიყებიან, კაცები კიდევ ყასიდათ ფულს აგებენ მასთან კარტის თამაშობაში და ასე საქმეს ჩარხავენ.

მაშ არც ის არაფერი ყოფილა, რომ ეტლში მიმავალ ქალს დაეცე და გააუპატიურო. მაშ არც ის არაფერი ყოფილა... მაგრამ რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, მაგ კაცმა, თუ შეიძლება კაცი დაერქვას, ყველა ამაების მომქმედს, სწორეთ გააშრო ჩვენი სისხლი და შენ კი მფარველობას უწევ. ჩვენი მოთმინების ფიალა აივსო, მეტის დაყონება აღარ შეგვიძლია...

აქ გადმოხტა ერთი ახალგაზდა, სტაცა ხელი ჩემს მათრახს და გაიქცა.

— თუ შენ გენანება ჩვენი სულთამხუთავი, გადმომძახე შორიდან, მაშინ მე თითონ გაუსწორდები მასო.

გაოცებული დავრჩი მცირე ხანს. მაგრამ ჩქარა მოვედი გონს. უცებ სტრაჟის ფორმა ავისხი და მრისხანეთ დავიგრიალე.

— მომიტანეთ ჩემი მათრახი, თორემ ან 3000 მანეთი ჯარიმა ან სამი თვე ეგზეკუცია მეთქი. როგორ გაბედეთ თქვენ მეთქი, რომ მეთქი, მე მეთქი, მთავრობის კაცს მეთქი, მათრახი წამართვით მეთქი.

სოფელი შეწრიალდა. მცირე ხნის შემდეგ ხალხმა მოიყვანა ჩემთან ის გიჟმაჟი ახალგაზრდა. ის კიდევ თავისაზე იდგა და გახარებული კილოთი გაიძახოდა: ორი მაგარი მათრახის კუდი კი ვუჭირე და ახლა რაც გინდათ ის მიქენითო.

მე რასაკვირველია დიდათ თავს არ შევიწუხებდი და რაკი ჩემი მათრახი დავიბრუნე მსწრაფლ გავქუსლე ქუთაისისაკენ.

* *
*

რიონის სადგურზე ქუთაისიდან მომავალი კამპანია შემხვდა. ყვირილაში მიდიოდენ საქველ-მოქმედო ცეკვაზე.

ბულვარში ცოტა სული მოვიბრუნე, მაგრამ გული მაინც არ მეუბნებოდა აქ დარჩენას. ამასთანავე ზესტაფონლები ძლიერ მემდუროდენ: რა ამბავია ეშმაკო ერთი რომ არ გვეწვიეო და როგორც იქნა მათი საყვედურიდან დავიხსენი თავი.

მე და ბონდო ერთად წამოვედით ქუთაისიდან ზესტაფონში საქველ მოქმედო საღამოზე დასასწრებლათ. ბონდო ჩინებული ყმაწვილია მიქელაძის პირობაზე და მეც იმან ამიყოლია, თორემ საყვედურს კიდევ გავუძლებდი. საღამო ქალთა პროგიმნაზიის სასარგებლოთ იყო და თანაც „საცეკვაო", რადგან ადგილობრივმა ბოქაულმა ჩინებულათ შეაჩვია ყვირილის საზოგადოება ცეკვა-ხტუნაობას. ამ საღამოსათვის მოეწვიათ აგრეთვე ქუთაისიდან ხოპიორის პოლკის მუზიკა. რომ უფრო კარგათ გაითვალისწინოთ დამსწრე საზოგადოების სულიერი მდგომარეობა აღვნიშნავ იმასაც, რომ საღამო გაიმართა სამაზრო სამმართველოს შენობაში. დამსწრეთა $80^{0}/_{0}$-ს თავად აზნაურობა შეადგენდა, ხოლო $41^{0}/_{0}$ პოლიცია.

სმმართველოს მეორე განყოფილებაში სასალდათო ახალგაზრდებს ირ ჩევდენ და ადმინისტრაციის მთავარი წარმომადგენლები იქ ბრძანდებოდენ. დერეფანში ორი ბლუ შეხედულობის მამასახლისი იჯდა და მარხვის შესახებ ბაასობდენ.

კენჭის ყრა გათავდა და პოლიციაც საზოგადო ზალაში გამოვიდა. საზოგადოება დიდის მოკრძალებით მიეგება მათ და შენდობა სთხოვეს.

თქვენ უნდა გენახათ ჩემი ყოფა! ისე ვიყავი გამომწყვდეული, როგორც თაგვი ხაფანგში და ბრაზით გულზე ვსკდებოდი. ბონდო იჯდა თავისუფლათ და იმასაც კი ფიქრობდა: მე თავისუფალი მოქალაქე ვარ და ამგვარსავე მოქალაქეთა შორის ვიმყოფებიო. მოდი ახლა შენ და დაარწმუნე კერპი ახალგაზრდა, რომ ყვირილაში არ არის ჯერ სრული თავისუფლება პიროვნებისა, სიტყვისა და წერისა!

ნაშუალამევის პირველ საათზე უკვე გახურებულ სმაში ვიყავით და რეჩების ენერგიამაც იმატა. თავად-აზნაურობის წინამძღოლი ქიქიკო პირნათლად ასრულებდა თავის მოვალეობას.

პირველი სიტყვა კოლიამ მიიღო, რადგან მიღება მისი ნებაა, მაგრამ თქმის უნარი განგებისაგან არა ჰქონია მინიჭებული. მჭევრ-მეტყველობას რომ მაზრის ადმინისტრაცია არიგებდეს პოლიციური ერთგულობისათვის, კოლიას ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა.

— მე ტეტია ქართველი ვარ და პირში თქმა მიყვარსო დაიწყო მან. თავის წინამძღოლს თავად-აზნაურობამ კუდში უნდა მისდიოს, კუდში და არა სხვაგან. მთელი წოდება მისი კუდის გაგრძელებას უნდა შეადგენდეს და არა სხვა რასმეს.

ამან გამოიწვია ბონდოს პროტესტი.

—მე იმ აზრისა ვარ, დაიწყო ბონდომ, რომ თავად-აზნაურთა წინამძღოლი ერთნაირის მიუდგომლობით იცავდეს როგორც თავადის, ისე გლეხის ინტერესსაო. ის უნდა ემსახურებოდეს ერის საქმეს და არა წოდებისასო, დაამთავრა ბონდომ.

არა პოლიციელი ნაწილი საზოგადოებისა გამხიარულდა, პოლიცია დაღონდა, თუმცა აი დაიწყო ვიღაც მაჭავარიანმა, მაგრამ ვაი ამისთანა დაწყებას, ისეთი აბდა-უბდა, რომ ამ საზოგადოებაშიაც ბევრმა შენიშნა.

აქ კი წამოდგა თითონ ლავრენტი. ის ამ კრებაში თავს ისე გრძნობდა, როგორც პრემიერმინისტრი სახელმწიფო სათათბიროში. ამას აიძულებს მას მისი მდგომარეობა. სახელოვანი ბოქაული ძლიერ მომეწონა. ის წინეთაც მრავალ-გზის მინახავს, მაგრამ ახლა შეუდარებელი იყო.

— თითოულ წოდებას თავისი განსაკუთრებული ინტერესები აქვსო, დაიწყო ლავრენტიმ; გლეხებს როგორც წოდებას, ყავს თავისი ინტერესების დამცველი და რიგიანადაც იცავს მას. თავად-აზნაურობის ხელმძღვანელობა მას დიახაც არა სჭირია. გლეხებმა კარგათ შეიგნეს თავისი ინტერესები და საჭიროა ახლა თითონ თავად აზნაურობამ შეიგნოს თავისიო.

წამოდგა კვალათ ბონდო. ბევრი ვანიშნე თვალებით: კარგი დაანებე თავი, ჯერ კიდევ არ ვართ თავისუფალი მოქალაქენი მეთქი, მაგრამ კერპია და არ დამიჯერა.

— ყველა ორატორებიო, დაიწყო მან, ჩემი აზრების დარღვევას დემაგოგიით ცდილობენ...ო.

აქ კი აირია მონასტერი! დადგა სწორეთ ჩემი სამეფო. ვიფიქრე: მოდი ახლა ვიძრობ მათრახს და ვუცხუნებ ამ პატივცემულ საზოგადოებას მეთქი, მაგრამ თავი შევიმაგრე. ლავრენტი და კოლია საშინლათ ღრიალებდენ. ბონდომ ვეღარ მოახერხა სიტყვის გაგრძელება.

ბონდო: ნუ აჩქარდები კოლია, გაფიცებ ძველ ამხანაგობას, ნუ აჩქარდები.

კოლია: რას ქვია ნუ აჩქარდები; ჩემ საწინააღმდეგო აზრს მე არავის დავანებებ.

გაცხარებულმა ბონდომ აღარ იცოდა რა ექნა. ბოლოს მრისხანეთ დაიძახა: სტუმრის ასე აბუჩად აგდება მხოლოდ შორაპნის მაზრაშია შესაძლებელიო.

ამ სიტყვებზე თოფ-ნაკრავივით წამოვარდა ლავრენტი ბოქაული და განაცხადა: უკაცრავათ, მე არავის მივსცემ ნებას შორაპნის მაზრას ხელი წამოჰკრას. კოლიამ დიდი ენერგიით განრისხა აზნაურობისაგან, თავადობისაგან და ვგონებ ადამიანობისაგანაც ბონდო. თუ არ მანდილოსანთა ცრემლები, საქმე ფიზიკურ მჭევრმეტყველებამდენაც მივიდოდა და მეც მზათ მქონდა ჩემი მათრახის კუდი.

ბონდომ კარგათ იცოდა, რომ „საცა არა სჯობს გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“ და დემონსტრატიულათ მიატოვა დარბაზი. არა პოლიციელთა უმეტესობაც მას გაჰყვა.

ამის შემდეგ ლავრენტიმ უფრო თამამათ დაიწყო ლაპარაკი.

— მაგას ისე დაემართება, როგორც ყვავს, რომელიც ყვავებსაც მოშორდა და არც ფარშავანგებმა მიიღესო, ამბობდა ბოქაული. у соціалъ-демократовъ нужно постоять за партію და მაგას ეს სად შეუძლიაო. მაგ ეპოლეტებს ხან მოიხსნის, ხან გაიკეთებსო“.

აქ კი მომეწონა ჯოჯოხეთის ცეცხლი. ლავრენტი თითონაც ხომ თვალ ცრემლიანი ევედრებოდა ხალხს პატიებას და ხალხმაც დიდსულოვნურათ აპატია მას, მაგრამ ეს იყო თავისუფლების დროს და დადგა თუ არა რეაქცია მან პირველმა გაშალა შავი ფრთები. გამახსენდა ყველა ეს და გავიქნიე ჩემი მათრახის კუდი.

უცებ გაისმა კივილი
ვაი და უის ხმებითა...
აქ კი შევწყვეტავ ამბავსა
თორემ თქვენც დაიღლებითა.

ეშმაკი.

# ახალი ამბავი.

**მიბაძვა.**

როგორც გავიგეთ გაზეთი „ზაკავკაზიე“ ახლო მომავალში ახალი რედაქციით გამოვა. ბ ნი პარ. გოთუას ნებართვით ბ ნი ერგნელი ადგენს სარედაქციო დასს. მოლაპარაკება სწარმოებს მუდამ დღე, დილის 6 საათიდან საღამოს 11 საათამდე ყოფილი „პურლევინო“-ს მოედანზე. როგორც ამბობენ ჯერ-ჯერობით როლები ასეა დანაწილებული:

1) პრემიერ რედაქტორი—კოტე ხერხეულიძე.

2) მისი ამხანაგი—ბ-ნი ერგნელი.

3) შინაგან საქმეთა რედაქტორი—აბელ კალატოზოვი.

4) პარტიულ განყოფილებათა რედაქტორი—დიდიმ ჩიკვაიძე.

5) საგლეხო საკითხთა რედაქტორი—ზურაბ აბდუშელიშვილი.

6) ნაციონალურ იდეათა რედაქტორი—რ. ამირეჯიბი.

დანარჩენი ექვსი რედაქტორის ვაკანსია ჯერ-ჯერობით თავისუფალია. ამასთანავე განზრახულია „ნიშადურის“ საუკეთესო წერილები სავსებით გადმობეჭდონ და კილო „სურნელოვანი რედაქციისა“ უცვლელათ მიიღონ. პირველი ნაბიჯი ამ გზაზე გადადგმული ჩინებული გამოდგა. „peranza“-სადმი მიმართული ღია წერილი საუცხოვო მიბაძვაა ვალერიან გუნიას უსაზღვრო ზრდილობისა.

* * *

**„უმადური საქმე“.**

სახელოვან რედაქტორს 3000 ცალი „ნიშადურისას“, განუზრახავს მომავალში გაზეთის მასალას თვალი გადაავლოს და ისე დაბეჭდოს. თუმცა ეს „დიახაც უმადური საქმეა“· დღემდე 3000 მკითხველში თურმე ვერც ერთი ვერ მიმხვდარა, რომ „ნიშადური“ ყარდა, თუმცა ყველა ნომერში იბეჭდებოდა მეტი თუ არა, სამი საუცხოვო ნიმუში „მონადირული„ ეთიკისა.

* * *

**უბედური შემთხვევა.**

27 გიორგობისთვეს მეტეხის ციხეში გულ-შემზარავი მკვლელობა მოხდა. „ჩასოვოიმ“ სიცოცხლეს გამოასალმა ციხე-დარბაზის ერთად ერთი კატა, რომელიც ციხის თაგვებზე ნადირობდა. კატა ნებადაურთველად ასულიყო სახურავზე და რაკი სამ გზის შეკითხვის შემდეგ არ გამოეხმაურა, დარაჯმა ტყვიით გული გაუგმირა. სასტიკი გამოძიება სწარმოებს.

## ბათუმის ავან-ჩავანი.

**შვიდი ჭორი.** ერთხელ ყურებმა, თურმე, თქვეს: ხშირათ რომ დაუჯერებელი ამბები არ გვესმოდეს, ასე არ დავჩიავდებოდითო, — გავიზრდებოდითო. ბათუმის ყურების უმეტეს ნაწილს, რომ ამ დაუჯერებელი ამბების მოსმენა არ განუცდია, ამას ერთი შეხედვით ყველა ადვილათ შეატყობს. მარა არის ყურების მეორე და, უმცირესი ნაწილი, რომელიც ისე დაკოდინებულა, რომ კატის დუქმა ძლივს გამოვა. აგერ ამ ხნის კაცი გავხდი, ,,წვერი იმეო ჭაღარით'' და ეს ახლა გავიგე, რომ ჩემი ყურების დაკიკნების მიზეზი, თურმე დაუჯერებელი ამბების მოსმენა ყოფილა; მანამდის კი ამ ჩემ ცოდვილ ყურებს ვმალავდი, ვითარცა ფიზიკურ ნაკლს, არა გამეგებოდა რა ყურების ბრძნული თქმულებისა. აბა რა მეცოდინებოდა, თქვენი ჭირიმე, რომ ის ამბები, რომელსაც ძველ დროში ჭორებს ეძახოდენ და, რომლის სიუხვეს დღეს, ბათუმში, სათვალავი არ აქვს, ადამიანის სასმენელ ორგანოს ასე უწყალოთ ანადგურებდა. თუმცა კადნიერებაა, მარა ვიტყვი რომ ჭორებით ბათუმი მდიდარია და თუ უმეტესობა ამაზე არას ლაპარაკობს, ეს იმის წყალობაა, რომ ყურნი მათნი სმენისაგან დაზღვეულია.

ჩემის კადნიერების დასასაბუთებლათ წარსულის სიღრმეში ქექა არ დაგვჭირდება. მხოლოთ ამ ერთი კვირის ჭორებს ჩამოვთვლი და ყურ-პატარა მკითხველები დამეთანხმებიან, რომ ამის შემდეგ სრული უფლება მაქვს ბათუმს სახელი შევუცვალო, — ჭორეთი ვუწოდო. მაშ ასე, — დავიწყოთ:

**ორშაბათი.** ახალი გათენებული იყო, რომ მოვაჭორეს, — ამა და ამ ქალის ქცევამ მისი პატიოსანი ქმარი თავდავიწყებამდის მიიყვანა, ხოლო ამ უკანასკნელმა ცოლი შენის გვარით მონათლაო, ე. ი. შებღავლაო. მეწყინა გვარის ექსპროპრიაცია, რადგანაც მეტი ქონება არა გამაჩნია რა, მარა დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ დროინდელი ექსპროპრიატორები ადამიანის ერთადერთ ქონებას ხელს არ ახლებდა და ეს ამბავიც ჭორათ ჩავთვალე, ხოლო ყურს ჩემსა დავსდე საცო.

**სამშაბათი.** ამ დღეს ექსპროპრიაციაზე ჭორი გვალათ ვისმინე, — აღმოჩნდა ქალი, ვინმე, ,,რუკოდელათ'' წოდებული, რომელსაც საყვარელის დისაგან ქმრის ექსპროპრიაცია განუძრახავს. რადგანაც ყოველი ქრისტიანი. ექსპროპრიატორი ღვდლების მიერ, იმ ზომამდე შეკნებული კი გამოდგება, რომ ქრისტეს მოძღვრებას არ შელახავს, არც ,,რუკოდელი'' გადალახავდა მღვდლების და წმინდა მამების მიერ დაკანონებულ რჯულს. არ დავიჯერე ეს ჭორი და ყურსა ჩემსა დავუცე ბამბა ვიდრე დილამდე.

**ოთხშაბათი.** იობ მართალთან მოსულ დადადისებისა არ ივევს, უურთა ჩემთა ახალი ჭორი ისმინეს,—ჭაბუკი ვინმე ადიმართა კარის კარ გლებათ და კრეფათ ფულისა, სახელით სტუდენტისათა. შერაკრიავა ფლური იგი, წარიგრაგნა ქალაქსა მას შინა ოდესასა. რომ ეთქვათ,—სტუდენტმა ფული მოიტაცა და მოკურცხლათ, ეგების დამეჯერებია; აქ ჯიუტობაში ურწმუნო თომას ვჯობე; ხოლო უურნი ჩემი ძრწუნებასა განიცდიდენ ფრიად, ვიდრე ლოგინათ მისვლამდის.

**ხუთშაბათი.** ხუთშაბათს ასეთი ჭორით გამგუდეს: ვაჭარი იგი, რომელმა წარსულ წელს გურულებს აბრეშუმი მუქთათ გამოსტყუა, ავადათ ადიჭურვა, რათა მომავალ წელსაც ჰქონს საქმენი ასეთი ქველნი და ჯიბესაშინადილსა ფრიად ჩააჩხრიალოს ქანქარი უთვალავი. ეს ჭორი სიმართლის მსგავსი მაშინ იქნებოდა, რომ ეთქვათ,—შარშან გურულებს ტყავი გაძრო და წელს სულის აწვდას უპირებსო და უური ჩემი არ გავაქანე.

**პარასკევი.** ეს დღე ხომ კვიმატ დღეთ ითვლება და გამიკვირდა, როცა ისეთი ჭორი გავიგე, რომელიც სიმართლეს ცოტათი მოგავდა,—აქაურმა მდიდარმა, ყველასაგან პატივცემულმა და ყველა საქმეში გაჩხეკებულმა პირმა, სიმდიდრე იმით შეიძინა, რომ ვიღაც ქალს ნივთები სიყალბით დასტაცა, შემდეგ სასტუმრო გაადო და გამდიდრების გზას აქედან შეუდგაო. ამ ჭორისათვის რომ დაემატებიათ,—სასტუმროში წყვილ ლოგინიანი ნომრებიც ქონდაო, სიმართლის მსგავსი იქნებოდა, დავიჯერებდი და უურებიც მოისვენებდა.

**შაბათი.** ამ დღეს გაგონილი ჭორი ისეთია, რომ იმის გაგონებით, რაც ქვეყანაზე გამგონე უურებია, მგონი, ერთბაშათ გაქრეს,—აქაური უმუშევრები, რომელნიც საქმიანობის ჟამს თეატრისკენ არ გაიხედავდნენ, მათი შვილების გამოსაზრდელ სკოლის სასარგებლოთ დადგმულ სპეკტაკლს გუნდ-გუნდათ აწყდებიან და მუქთ ბილეთებს ითხოვენო. აბა ამას როგორ დავიჯერებდი, ასეთ უმუშევარს ვერ წარმოვიდგენ, რომ საქველმოქმედო საქმეზე მუქთი უფლებებით ისარგებლონ; ეს ისეთი ჭორია რომ იმის გაგონებით უურები ახლაც მიბჟუა.

**კვირა.** დანიშნულია სახალხო უნივერსიტეტის მომწყობი საზოგადოების კრება. ამ კრებაზე მივეშურები. შევედი დარბაზში და მომაჭორეს,—დღეს ბათუმში 21,000 კაცი ავათ გახდებაო. რასაკვირველია ასეთ მოჭორებულ წინასწარმეტყველებას არ დავიჯერებდი, მარა ნასრადინა ხოჯისა და ფლავის ისტორიისა არ იყოს, ბოლოს ეჭვი შემეპარა, შეიძლება მართალიც გამოდგეს მეთქი, რადგანაც ხმებმა თანდათან იმატა. ხალხიც შიშის ზარმა აიტანა, მარა საქმე ადრე გამოირკვა და ბევრი გულები დამშვიდდა. საქმე, თურმე, შემდეგში იყო: ამ საზოგადოების გამგეთ თერთმეტი კაცია. ამათში მხოლოთ ოთხი მოსულიყო, დანარჩენი შვიდი. ,,ავათ გამხდარიყო'' რადგან მანქანებით. მეჭორესაც თავისი ჭორი აქედან დაეწყო,—ბათუმში 33,000 მცხოვრებლებია, თუ ყოველ თერთმეტ კაცზე შვიდი ხდება ავათ გამოდის, რომ მთელი რიცხვიდან ოცდაერთი ათასი ერთად უნდა ჩაწვეს ლოგინში. ხოლო ფეხზე მდგომი 12 ათასი დარჩება, ასე რომ ჭორი, თუმცა ჭორათ დარჩა, მარა დასაბამი კი მართალი დაურჩა. ცოტა არ იყვეს ამან დამაფიქრა,—ვაი თუ ყველა ჭორების დასაბამი ამგვარათ მოგავდეს სიმართლეს!

ბლიკვაძე.




სტიპენდიის მოლოდინში!

## ოჰ სტიპენდიავ!

(ანუ ლომბარდი და კურსისტკები)

ცივი ქარი სწამლავს არეს
დასრიალებს, როგორც გველი...
ჰაერიც კი დაამძიმა,
სუნთქვა გახთა მეტათ ძნელი...
და აი, ამ შავ ბნელ დღეში
ცხოვრებისგან განამწარი,
ლომბარდის კარს მიადგება
კურსისტკების მთელი ჯარი.
ზოგს ბოლჩა აქვს ტანსაცმელით,
ზოგს წიგნები ზოგს სხვა ნივთი
და ოროორ- გროშს მოელიან,
რომ მოითბონ ხელი მითი.
ზოგს აკლია სწავლის ფული,
ზოგს არა აქვს ბინის ქირა
და წყეულმა ,,ხაზაიკამ“
სწორეთ საქმე გააჭირა.
ზოგს იმდენიც არ ჰქონია,
რომ იყიდოს ლუკმა პური,
**სტიპენდის მოიმედე**
**წამოსულა უბედური.**
**მაგრამ ფულის პატრონებმა**
**არ იციან აჩქარება,**
**და ბედნიერს მოესწრება**
**მათი მცირე დახმარება.**

№

---

## ცალ-თვალი მეფე

(იგავი „დედა-ენიდან“)

ვუძღვნი ვალერიან გუნიას.

მეფე ვინმე იყო ცალ-თვალი. ერთხელ მას მოესურვა თავისი სურათის გადაღება. მოიწვია მხატვარი და უთხრა: ჩემი სახე დამიხატეო. მხატვარი განსაცდელში ჩავარდა. რა ჰქნას.

თუ მეფეს ცალ-თვალს დახატვას, სიკვდილი მოელის. ცალთვალობა როგორ მკადრეო;

თუ ორივ თვალს სალს დაუხატავს, კვალად სიკვდილი მოელის: ეს სურათი ნამდვილი არ არისო.

მწარეთ ჩაფიქრდა მხატვარი და ბოლოს ერთი ხერხი იღონა:

მეფე „მონადირეთ“ გახადა, დაუხატა წინ ირემი, მისცა თოფი ხელში და წამხდარი თვალი დაუხუჭა, თითქო უმიზნებსო.

მეფეს მოეწონა მხატვარის გონება მახვილობა და სიცოცხლე აჩუქა.

**რას გვასწავლის იგავი?**

ის გვასწავლის, რომ ყველა ამაყი, შურიანი და მედიდური ცალ-თვალა, „მონადირეთ“ მოვნათლოთ, რათა ხელოვნურათ დავუხუჭოთ ბუნებრივათ მახინჯი თვალი კეთილ სინდისიერებისა და მით შეცდომაში შევიყვანოთ მნახველი,

მაგრამ არა მგონია ყველა მხატვარი დასთანახმდეს ამაზე.

ეშმაკი.





აბრეშუმის ჭია.

## „ჭეშმარიტ-რუსული"

(აბრეშუმის ჭია.)

თფილისიდან წარვლენილი
ჰკუით სამსე (როგორც ბატი)
ერთი „რეჩით" დაიცალა
„დიდებული" დეპუტატი.
ტიმოშკინის ნაუბარმა
სწორეთ გულზე გადამნარა,
შვების ცრემლი ჩამომიგდო
დამატკბო და გამახარა.
ღვთის წინაშე სხვა ვინ არის
ჩვენში ესდენ დაჩაგრული,
როგორც რუსის ჩინოვნიკი
აქ მყოფი თუ ჩამოსული?
ამიტომაც გადავსწყვიტე
თქვენც გაგაცნოთ ზოგიერთებს,
რომლებსაც თვით ტიმოშკინი
თაყვანსა სცემს და ალმერთებს.

I

ეს ჭიაა აბრეშუმის,
„ჭეშმარიტი რუსთა" ჯიშის,
ოციოდე წელი გადის
რაც რომ მუშტაიდში გვიზის.
წევს და ყლაპავს უზოგველათ,
(როგორც მატლის არის წესი)
უხვად იმსებს საკუჭნაოს
თუმც არა აქვს დანათესი.
ქობულეთში „დაჩა„ ლადგა
ფოთს და გაგრას აგარაკი,
ხერსონზე და ტუაპსეზე
მეტიც არის ლაპარაკი.
ყველგან პარკი მოიქსოვა
გაიკეთა ბადე-ქსელი
და რასაც კი მისწვდებოდა
არ დააკლო არას ხელი.
დღესაც ასეთ „შრომაშია,"
დღესაც დასდის „ოფლის" ღვარი,
და ცდილობს სხვაც გამონახოს
გემრიელი თუ რომ არი.
რა თქმა უნდა, ხაზინიდანც
მისდის შრომის საფასური
და იტანჯვის „მამულისთვის"
ეს მოხელე უბედური.
ტიმოშკინის რეჩი ალბათ
გულს მალამოთ ესალბუნა
და მადლი ღმერთს ლექსათ თხრობა
რომ პირველათ მე მარგუნა.

—კი.

---

## გამოცანა.

(გურიისათვის)

გამოცანას მოგახსენებთ
სულ იოლათ ასახსნელსა,
დიდებული მისი გვარი
უძლევებოდა ძველათ ერსა.
ერთობის დროს ხვრელში იწვა
არ უხილავს მზე და ზეცა
რეაქცია რომ გამეფდა
ჩინს და ლეკურს ხელათ ეცა.
ისევ ჩადგა სათავეში
ბრწყინვალეთა წინამძღვარათ
და ბნელ ძალებს უსტაბაშობს
მტერთა ჩვენთა გასახარათ.

შხანკოლა.

---

## სასაფლაო.

(ვუძღვნი კოსტა ფანქარაძის ხსოვნას)

გულის მომკვლელი მყუდროებით, მდუმარე მარად,
ხან გლოვის ზარით შესაზარი, ცრემლებით ღვარად,
ბნელი სურათი შემაზრზენი სიკვდილის გვარად
ბინა სახრწნელი ჭია-ღუის სალხენ-სახარად;
არ შემიძლია დავივიწყო, მიყვარს ის გრილი,
იქ შენი ძვლები მეგულება მიწა მიყრილი,
და დღეს ამ ცნობით ბრაზმოსული, გულდაკოდილი
ვამბობ: ძამია! „ულმრთო იყო შენი სიკვდილი!".
ცრემლებს გავურბი, ისე, როგორც შენ გაურბოდი,
მაგრამ მომშხამა ცნობამ, რასაც არ მოველოდი,
ნუ თუ შენ გუშინ იმედებით ცელქათ რომ ხტოდი,
დღეს მიწაში ხარ და საზარი გულს გაწევს ლოდი?!!

რუბენა ლეჩხუმელი.

---

## „ნიშადურელთა" კრება.

„ნიშადურელნი" შემოკრბენ,
იმაზედ ჰქონდათ ცილობა
(ძირს ჩამოეშვათ ცხვირები,
დასდევდათ დაღრეჯილობა),
თუ რა ჰქნან, რა გზას დაადგენ,
რითი უწამლონ თვის ზურგებს,
„ეშმაკის მათრახისაგან"
მრავალჯერ აცხუნებულებს.
**იროდ** სთქვა: „ძმებო, თქვენც იცით—
მათგან მე ბევრი მხდებაო,
ამ მხრით მე თქვენში სწორეთ რომ
ვერავინ შემედრებაო...
ვფიცავ პირველათ ბახუსსა,
მეორეთ—ჩემსა სიყმესო,
რომ ჩემებრ ერთგულ მსახურსა
სხვას ვერ იპოვით ვინმესო.
მართალი არის, ორ-სამ-ხელ
კილო შევცვალე სტვირისო,
გუშინ სხვა ჰანგზე მღეროდა,
დღეს კი თქვენ ხმაზე ყვირისო.
მაგრამ თქვენც იცით, რომ იროდ
აროდეს ადგა ერთს აზრსა,
ასე შეჰფერის პოეტსა
ალმა და დალმა მფრინავსა...
დღეს კი საკუთრივ თქვენი ვარ,
თქვენი ვარ ხორცით, სულითო,
თქვენ ოღონდ ბრძანეთ, მე დავწერ
რაცა გსურთ, რაცა გწყურიათო...

მოვხსნი პირს ლანძღვის გუდასა,
მოვყვები დიდის ამბითო
„ეშმაკის“ ლანძღვა-გინებას
და გულს მოგილბობთ ამითო.
დავკრავ: მას ჟამსა ბნელოდა,
ბნელოდა ჩემსა ჯიბეში,
შიგ ხელი ვერრას ნახავდა,
არსაით იყო ნუგეში...
დავკრავ: ვეყმობი „ნიშადურს“,
თვალი იქ ხედავს ქანქარსა,
დავკრავ და თანაც გადავკრავ
თქვენს სადღეგრძელოს მრავალსა“.
თქვა და ჩამოდგა პოეტი
პოეტურ თავის ქნევითა,
ხელზე ემთხვია თვის ბატონს -
რიშ-ბაბას — მოწიწებითა...
წინ ,,**მონადირე**'' წამოდგა,
—სიტყვა უნდა ვთქვა ძმებოო,
ფედერალისტნო ქებულნო
და გალა ოხუნჯებოო.
ერთმანეთ შორის რას ვფარავთ:
საქმე გაგვიხთა ძნელიო,
,,ნიშადურს'' ძალი აღარ აქვს,
შეიქნა საცინელიო...
ლექსები მას არ უვარგა,
პროზაც კი მოიკოჭლებსო,
კარიკატურა უაზრო,
ვაი ჩვენ ამ დღის მომსწრებსო!..
მაგრამ მე ამას აქ ვამბობ,
ისე კი სულ სხვა ვწეროთო,
და რაც ჩვენ მოგვეწერება,
იგი სხვას მივაწეროთო...
ეს თუ განკურნავს საბრალოს
ამ ჩვენ გულს დაწყლულებულსო,
და ზურგს მალამოთ დაედვის,
მათრახით აცხუნებულსო''.
ახლა **რიშ-ბაბა** წამოდგა,
ქებული დუნიაზედა,
სწორ-უპოვარი, ძლიერი
თვით არტისტ გუნიაზედა...
პირი დაალო სათქმელად...
სიტყა გაურჩა ყელშია ..
ზურგი აეწვა... რას ხედავს!
თავის მათრახით ხელშია
,,ეშმაკი'' წარმოვლენია,
იროდი გარბის განზედა,
მას ,,მონადირეც'' თან მისდევს.
ხელ მოჭერილი თავზედა.
რიშ-ბაბაც მისდევს, გარბიან
,,ნიშადურელნი'' ,,ქებულნი'',
მათრახის კუდით ამ ხელაც
თავ-პირ-ზურგ აცხუნებულნი...

**კენტი.**

---



# წერილები ეშმაკისადმი

**სამტრედიიდან, ლიხაურიდან, თელავიდან, სუფსიდან, ქვიტირიდან, სვანეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან, ცაგერიდან და საგარაჯოდან.**

**ლიხაურიდან.** ძმაო ეშმაკო! ლიხაურზე უკეთესი სოფელი შენი მათრახის სავარჯიშოთ დედა მიწის ზურგზე არ იქნება და შენ კი ასე გულ გრილათ გვეკიდები. გეხვეწებით ჩამოფრინდი ერთი, იქნებ მიხვდენ ეს უბედურები რას შვებიან, იქნებ შენი დახმარებით გაითვალისწინონ რა მოელით ჯოჯოხეთში ასეთი მოღვაწეობისათვის.

კვაჭალათის მინდორზე რომ მოხვალ უცხუნე პირველ ყოვლისა ფ. ურუშაძეს და უთხარი „სტრაჟები უშენოთაც კი გაიკლოვენ გზას-თქვა“. შენ არ შეგეცოდოს, ჩემო ეშმაკო! იცოდე სახელმწიფო ტყის-მცველია და ხალხის შეთლა-შემოთლა სხვაც ეყოფა.

ჯვარს რომ მიუახლოვდე მარჯვენა ხელით მაგრათ გადაჰკარი ყ. გორდელაძეს და ი. თოიძეს. ამათაც მოახსენე რომ უკადრის საქმეს კადრულობენ. (შენი ვინაობა არ გაიგონ ძმაო, თორემ მასწავ. მენაბდეზე უარესი საქმე მოგივა. ასიანი კი არა ხუთასიანიც „მალო“ იქნება). ცოტას რო აიცვლი ზემოთ ჯვარისაკენ ს. ცეცხლაძე შეგხვდება და რალა ჩვენი თქმა გინდა ისე გადაჰკარი. ამასთანავე შეიძლება ბ. ბებურიშვილსაც გადაეყარო სადმე და მცირეოდენი დარიგება იმასაც მიეცი შენი მათრახის კუდით.

სხვა რომ არ გვქონდეს საქმე მარტო ამისთვის არ შეგაწუხებდით და აბა შენ იცი თუ დროზე გვინახულებ.

შენი **სავა.**

—

**სამტრედიის რაიონიდან.** ძმაო ეშმაკო! შენ გეხსომება სოფ. ჭაგანს რომ ერთი წმინდანი ხუცესი ყავდა. რამ ჩაგაფიქრა? რავა არ გახსოვს სამსონ შენგელია?! ეს ძვირფასი მოძღვარი რეაქციის დროს მოსტაცეს ხალხს და სხვაგან გადაიყვანეს, მაგრამ ახლა, რაკი ხალხმა ასეთი ფართო თავისუფლება მოიპოვა, დანაკარგი მოძღვარის დაბრუნებაც განიზრახა. სასტიკი შეტაკება მოუხდა ორ სოფელს: არა ჩემია სამსონი და არა ჩემიაო. კინაღამ ერთმანეთი დახოცეს. ბოლოს როგორც იქნა სძლია ჭაგანმა და მოიტაცა, მაგრამ დახე უბედურებას! მამა სამსონმა თითონ არ ისურვა აქ დარჩენა და უკუ იჯმნა ჭაგანიდან, რასაც მწუხარებით აუწყებენ ჭაგანელები თავისს ნათესავთა და ნაცნობებს.

სოფელ აბაშის მებატ. გაბუნიამ აბანო გახსნა, მაგრამ საუბედუროთ მექისეებს ჩხუბი მოუვიდათ და საქმე შეფერხდა. ამ დროს ბატ. გაბუნიას გამოეცხადა ეშმაკი და ურჩია მექისეებათ სტრაჟნიკები მოეწვია, რაიც სისრულეში მოყვანილ იქნა. ბანაობა ყოველ კვირაობითაა და თუ მითქმა მოთქმას დაუჯერებთ, ასეთი მზელელი მექისეები ჯერ არსად ნახულა.

არც სამტრედიის რკინის გზის მუშები არიან ბედის მადლიერნი. იმათ ეძლევათ ეგრეთ წოდებული პროვიზიის ბილეთი მაგრამ კანტორჩიკების განმარტებით ამ ბილეთის მიღება მხოლოდ ქალს შეუძლია. „რა უშავს მუშამ ქალურათ ჩაიცვას და მიიღოს ბილეთიო“ იფიქრებ შენ ძმაო ეშმაკო, მაგრამ ხათაბალა ის არის, რომ კანტორშჩიკების განმარტებით ქალი უთუოთ ლამაზი უნდა იყოს.

აბა რომელი ერთი მოგწერო, ძმაო ჩემო, გაიგებდი მაგალითად, რომ ბ-ნ ჩ—ას საშინელი სიზმარი ესიზმრა და ცხადში იგრძნო თავი თუ არა მაშინვე გაიქცა სადაც ჯერ არს და 2 სალდათი მოითხოვა ,,ტელოხრანიტელათ'', რაზედაც ცივი

უარი მიიღო. აგრეთვე, როგორც ეწერიდან ამბობენ ბ-ნი გაბუნია ძლიერ გახარებული ყოფილა ილიკო კოპალეიშვილის გაქცევით. წონაშიაც მოუმატია 7 მისხალი.

მშვიდობით. შენი **პურიშკევიჩი**.

—

**მეტეხის ციხიდან**. ძმაო ეშმაკო! გასაკვირი აი რა არის: სადღაც შავი ზღვის ნაპირებზე დანავარდობ და თფილისის კუთხეებში რა ამბები ხდება იმას კი არ კითხულობ. აი თუნდა ავიღოთ მეტეხის სასახლე. სულ რამოდენიმე დღეა რაც ჩამოიყვანეს ორი სტრაჟნიკი და ერთი მამასახლისი. მამასახლისი ცნობილი აფციაურია· რომელმაც ბაზალეთის ბოქაულის მეოხებით მიიღო ეს ხელობა. დაუჭერიათ ეს ყმაწვილები ძარცვა-გლეჯისათვის. მართალია გაგიკვირდება მათი დაჭერა და ზურგსაც შეაქცევ მათ, მაგრამ აი საქმე რაშია: მოახსენე სხვა მძარცველებს, რომ თუ ოდესმე ბედმა ისინიც აქ შამოიყვანა, სადაც მათი ბოროტი ენის მეოხებით არა ერთი და ორი უდანაშაულო კაცი მოდის, იმათაც ისეთ ,,მასაჟს'' გაუკეთებენ, როგორც დუშეთელ სტუმრებს.

გარდა ამისა ჩვენ უფროსსაც გამოუწერე რაიმე დამამშვიდებელი წამალი, თორემ ძლიერ ,,მამაშვილურათ'' გვექცევა. გარეთ ცოტა ხანს გვიშვებს გაცივდებით, თო, საჭმელს ცოტას გვაძლევს კუჭი წაგიხდებათო, ხშირათ გაზეთსაც გვიკრძალავს თვალი არ გაგიფუჭდეთო. ერთი სიტყვით მეტის მეტ ,,გულკეთილობას', იჩენს და ეს გულკეთილობა უფრო რეაქციის დროს დაიჩემდა. წინათ არ იყო თურმე ასეთი. ჩვენ რასაკვირველია ვერ დავუფასებთ ამ პატივისცემას და ვინძლო შენ იცი და შენმა მათრახმა.

ახლა კი მშვიდობით. **ობერი**.

—

**სუფსიდან**. ამხ. ეშმაკო! ძლიერ გულგრილათ ვართ თქვენზე სუფსელები. ამდენი გასამათრახებელი გვამი გვყავს და ერთი შენი ნახვა არ იქნა. აი თუნდა ახლაც აწყობენ ერთგვარ ხრიკს, რომლის მეოხებითაც უნდათ 1500 მანეთი გამოგვცინცლონ ხელიდან. რასაკვირველია ყველა ამის მიზეზი უმათრახობაა და დაგემდურებით მაშ რას ვიზამთ.

შენი **ოლოლე**.

—

**თელავიდან**. ძალიან გვიკვირს ძმაო ეშმაკო, რატომ მოიძულე აგრე თელავი და მისი არე-მარე. ძლიერ გამოიცვალა დროება, ძმაო ჩემო, რეაქციამ სული შეგვიხუთა და თავისუფლების დროს ჩვენს კედლებში შემოხიზნული ლამურები ახლა ფრთა გაშლილი დანავარდობენ. ამიტომ საჭიროა მათრახი თან წამოიღო და ერთი ღირსეულათ მირეკ-მორეკო თავთავის ადგილზე ბუდიდან გადმოვარდნილი ბარტყები.

დიდ შეცდომაში მოხვალ, ამხ. ეშმაკო, თუ დაუჯერე და ვინც გეტყვის: ,,მე რას მერჩი სოც. დემოკ. ვარ, ხალხის ინტერესებს ვემსახურებიო'' არაფერი უთხარი. აბა ვინძლო არ მოგატყუონ. რომ ჩამოხვალ თითონ ნახავ როგორ გარყვნეს აქ ზოგიერთა ვაჟბატონებმა ს. დ. სახელი და როგორ ბოროტ-მოქმედებენ იმით. დიდი სიფრთხილე გმართებს, დიდი! ქოროღლი და მისი K° რომ შეგხვდება, ისინიც კი გეტყვიან: ჩვენ ხალხის სამსახურში ამოგვდის სულიო, მაგრამ შენ რასაკვირველია არ დაუჯერებ და შენებურათ აუწევ ზურგის კანს. მაგათზე ყველაფერი ახი იქნება. ვინაიდან რამდენიც უნდა დაჰკრა მაინც მოგებული იქნებიან.

მე მხოლოდ ალექსა დემუროვის მეფიქრება. ის ეშმაკსაც კი შეაცდენს მგონია, ისეთი ჭანდრაკული კაცია. სიტყვით რომ ოქროს ტახტს გიდგამს, საქმით მაშინ სამარეს გითხრის. მათრახის კუდს ისე შეიტკბობს, თითქო თაფლი ეჭამოს, მაგრამ მიუხედავათ ამისა უცხუნე მაინც ერთი ორი.

ერთი სიტყვით მე ახლა თავს აღარ შეგაწყენ თუ ჩამოხვალ თითონ ნახავ რამდენი საქმე ამოგიჩნდება. მაშ გელით.

შენი **ნაღმოსანი**.

## ლეჩხუმიდან.

**ცაგერი**.—ძმაო ეშმაკო! შენ რა თქმა უნდა კარგათ იცი, თუ როგორ მისდევენ ზოგიერთები ცრუ საშუალებას და ისეთი ჩხირკედელაობით, როგორიც მაგალითათ უსახელო წერილებით უშინაარსო ბაქიბუქობაა; ალამაზებენ ხოლმე თავიანთ ცრუ „სოციალისტობას“! ასეთი ყმაწვილები სხვათა შორის ლეჩხუმსაც ყავს და მათი მოქმედება, როგორც ყოველთვის ისე დღესაც, ხელს უწყობს შავრაზმელების უფრო დარაზმვას, შეკავშირებას და მეტი ენერგიის გამოჩენას! ამიტომ მე მგონია მეტი არ იქნება შენი მათრახი ერთი ამ ვაჟბატონებშიაც აატრიალო და შემდეგ სწრაფათ შეცოცდე ცაგერის სატუსაღოს ზედამხედველის, ალექსი მდივანის „კაბინეტში“.—აქ იმას აქვს მეცნიერული გამოკვლევა, რომელშიდაც წერია: „ზელტერსკიხ“ წყალი ტუსაღს ათრობს, ვისაც ყელი სტკივა იმას რძე სწყენს, ვაშლი ჯანმრთელობას წამლავს და სხვა....! თუ ძმა ხარ ამ გამოკვლევის ჯილდოთ ალექსის იმდენჯერ ამოუჭირე შენი მათრახის წვერი, რამდენჯერაც მან ტუსაღი იაკობ გუჯეჯიანის მოკვლაზე გადიხარხარა.

**სვანეთი**. ალექსის „კაბინეტიდან“ დაბრუნების შემდეგ, ორიოდე სიტყვა ჩემს თავზე უნდა გითხრა, ჩემო ეშმაკო, და ვით საყვარელ არსებას ვერ დაგიმალავ, რომ ორიოდე მათრახის კუდი მეც მეკადრება! ეს იმიტომ, რომ ერთხელ სხვათა შორის მეც ხელი შეუშალე და არ დავანებეთ სვანებს, შამშე გელოვანის ცხედრის უკან მოჩანჩალე ფარისეველი მღვდლის ივანე მარგიანის „ცხენის წყალში“ გადაგდება თვალჩაუწვდენი კლდიდან.—მერწმუნე მაშინ რომ, მამა ივანე იმ სიმაღლიდან გადამხტარიყო, დღეს რაც მაზრის სამმართველოში მოხსენებებია იმის ნახევრის მეტი არ იქნებოდა და შავრაზმელების რიცხვიც ერთით ნაკლები დარჩებოდა!

**რაჭა-ლეჩხუმი**. არც რაჭა-ლეჩხუმში ჟურნალ-გაზეთების, გამავრცელებელ ზოგიერთ აგენტებს აწყენს ხანდახან მათრახის გადაჭირება! პირ იქით, მგონია მოუხდებათ კიდეც, რადგან კარგა ხანია თფილისიდან გაზეთები ეგზავნებათ და იმას კი არ იწერებიან იღებენ თუ არა, ან ავრცელებენ თუ არა?

**ნაცნობი**.

—

**ქვიტირიდან**. ძმაო ეშმაკო; შენდამი წერილების წერა ახლა ჩვეულებათ გადაიქცა. ყველა შენ გეპატიჟება. არ დარჩენილა თითქმის არც ერთი დაბა-სოფელი, რომ შენ არ მიეწვიოთ. მხოლოთ ჩვენი სოფელი (ქვიტირი) ჩამორჩა, აქედან არავის მიუწვევიხარ და არც შენ მიგიქცევია შენი ეშმაკური ყურადღება. ეგება გგონია აქ გასამათრახებელი არავინ იყოს? თუ ეს ასეა, შემცდარი ხარ, ჩემო კარგო. აქ სხვებზედ მეტიც არის. არ გჯერა? მაშ დამიგდე ყური და შეწევნითა ღვთისათა თითოეულათ ჩამოგითვლი ყველას.

მამასახლისი ტარასი
(კეთილის მქნელი არასი),
როს ხალხს ეპყრა ხელში დროშა,
ეგებოდა ფერხთა ქვეშა
რა გამეფდა რეაქცია,
ხალხს მყის ზურგი შეაქცია,
და წრე შეკრა შავთა ძალთა
სოფლის მჭამელ ხულიგანთა.
რაც რომ უნდა იმას შვრება
ანკი წინ ვინ დაუდგება?

იმას არც ჩვენი მღვდლები ჩამორჩებიან ღირსებით. არ გჯერა? მაშ დაუგდე ყური იმათ სიმღერას და დარწმუნდები:

„მოდით, ფერხული დავაბათ,
დავძახოთ არიარალი:
ხომ ხედავთ ხალხი დამარცხდა,
გაისმის მისი ვალალი!
ისევ გამაგრდა მთავრობა,
ჩვენი მცველი და მფარველი...
კურთხეულ იყოს მარადის
მისი ძალა და სახელი.
აწ ვინეტაროთ, ვიხაროთ,
რაღა გვაქვს მოსაწყენია:
გუბერნატორი ჩვენ გვწყალობს,
ბოქაულებიც ჩვენია.
ხალხს მიუსიოთ სტრაჟები,
წავართვათ დრამის ფულები:
დე იმან იტირ-იკვნესოს,
ჩვენ ვჭამოთ ხაჭაპურები!
მოდით, ფერხული დავაბათ,
დავძახოთ არიარალი:
ყველას ავიღებთ ერთბაშათ,
რაც დღემდე ვნახეთ ზარალი“.

სოფლის „მამები“ ხომ გაგაცანი, ახლა მის „შვილებსაც“ გაგაცნობ. პირველათ ანტონიდან დავიწყებ. ეს ის ანტონია, მამასახლისობის დროს, როცა საწყალი გლეხი სამართლისთვის მიმართავდა, უპასუხებდა: „სამართალი, შვილო, რუმბშიაო“ ამით წინდაწინ აგებინებდა: თუკარგათ გამომბრუცავ მტყუანიც რომ იყო გაგამართლებო. და მართლაც უსრულდებოდა წადილი და ყოველ დღე ქეიფში იყო. ეს ის ანტონია, როცა განმათავისუფლებელი მოძრაობის ტალღები ზევიზევით იწევდა, ენა მუცელში ქონდა ჩავარდნილი, მაგრამ გაბატონდა თუ არა რეაქცია, მანაც ამოიღო ენა და მის „ძმაკაცს“ მამასახლის ტარასის დიდ დახმარებას უწევს მავნე პირების აღმოჩენაში. ამას მხარს უმშვენებენ მისივე მეზობლები არტემა, ნიკოლოზი... მაგრამ ჯობს აქ შევწყვიტო. ან კი რა საჭიროა ყველას სათითაოთ ჩამოთვლა?

ახლა ხომ გწამს ეშმაკოჯან,
აქ ბევრია სამათრახო?
მაშ მობრძანდი, შენებურათ
უცხუნე მათ, სადაც ნახო!
მე დარაჯათ დაგიდგები,
სუყოველგან თვალს ვადევნებ
და მათ ნათქვამს, ნამოქმედარს
დაწვრილებით მოგახსენებ.

**ხუმარა.**

---

## ჯუჯულის სიმღერა.

(სალეჩხუმო)

„თოფ-დამბაჩით შეჭურვილი,
ტყვია-წამლის უხვად მქონე,
თავს კარგათ ვგრძნობ „ერთობას“ ვგმობ,
ჩემს ხელშია ძალა—ღონე!“
„მათრახიც მაქვს, იმის ტყლაშუნს,
საამურად ისმენს ყური,
რა კარგია „წუნკლიან“ გლეხს,
რომ სცემ-დასცქერ მედიდური!“
„აბა ახლაც შემომკადრონ
ვითომ ვიყო მათი ტოლი,
რაც მიჭქარეს მისთვას ხომ ბევრს
ავადინე, ზურგზე ბოლი?!!“
„აღარ გახლავს, ვერ მაშინებს
მათი „ბუნტოჩიკთა“ გუნდი,
ზოგი სადღაც გზებში მოჭკლეს,
ზოგს ციხეში ადევს ხუნდი!“
„მაშ ეხლა მე რაღა მიჭირს,
სანეტარო ამ ყოფაში,
დარო ჩემო, ცეკვა მინდა,
რემანოზა! ტაში, ტაში...!“

**ნაცნობი.**



## შეხვედრა.

(სცენა მოხევეთა ცხოვრებიდან).

გერგეტელი კობაი და სტეფანწმინდელი თორღაი შეხვდებიან ერთმანეთს.

**კოზაი.** აკი იძახოდენ თორღავ, მოხევეები თავისუფალი ხალხია ბატონ ყმობას და სხვისგან დაჩაგვრას ვერ მოითმენენო.

**თორღაი.** მემრე მაგით რაი გინდა სთქო? აკი იძახოდნენ და მართალიცაა, როდის ყოფილა ხევჩი ბატონი?

**კოზაი.** თუ არ ყოფილან, ხომ ფიქრობენ გაბატონებას.

**თორღაი.** ვინ ფიქრობს? ე ჩვენი ვითომდა აზნაურები?

**კოზაი.** ჰო, სწორად ეგენი.

**თორღაი.** თუ აქამდი ვერას გახდნენ ვიდრე კიდევ უბჟუტავდა იმედი. ახლა გვიანღაა ჩემო კობავ!

**კოზაი.** გვიან კი არა მაგათი ნამდვილი დრო ეხლაა, როცა ქვეყანას შავი გადაეფარება ღამურებმა მაშინ იციან ფრენა და ეგენიც ხომ...

**თორღაი.** როცა გათენდება და მზე გაანათებს კე მაშინ სადღა ქრებიან კე ღამურები?

**კოზაი.** ეგ მომავალი კითხვაა, ჩემო თორღავ, და ჩვენ კი აწმყოზე გვაქ ლაპარაკი. ყურები გამოიბერტყე და გაიგე უკანასკნელს ლუკმას პირჩიგათ გგლეჯენთ.

**თორღაი.** მარტო ჩვენ ხო არა ვართ, თქვენც კი ჩვენს ტაფაში იწვით.

**კოზაი.** ჰო და მეც ეგ მიკლავს გულსა, ჩვენ თვითო ნაჭერი მიწაც იმ ნაწილშია მოქცეული, რომელსაც ისინი გედავებიანთ.

**თორღაი.** გული ნუ გაგტეხია, არაფერი იქნება.

**კოზაი.** როგორ არაფერი იქნება, „ოკრუჟნოი სუდმა“ და პალატამ ხომ იმათ სასარგებლოდ გადასწყვიტა და მიწები მათ საკუთრებად იცნეს.

**თორღაი.** იცნობდნენ მაშ რაი იქნებოდა, როცა ჩვენს გაუგებრად გაარჩიეს საქმე. აი ეხლა სენოტჩი გადავეცით და ვნახოთ იქ რითიღა დაბოლოვდება საქმე.

**კოზაი.** იქაც რომ სასწორი იმათკენ გადიხაროს მაშინ?

**თორღაი.** მაშინ მივმართავთ ისევ იმ სასწორსა რომელიც ამ ორის წლის წინად ვიხმარეთ. გახსოვს მთელმა სოფელმა რომ დასწყევლა და „ბოიკოტი“ გამოუცხადა.

**კოზაი.** აი ამ დროს ელოდეს, ჩემო თორღავ, და ხომ ხედავ ვინც მაშინ უფრო ბევრს ყვიროდა და სწყევდა სწორედ ისენი ულოკავენ ახლა ფეხსა.

**თორღაი.** მაგას კი მართალს ამბობ მედაჩემმა ღმერთმა, მაგრამ არა უშავსრა, მაინც იმედს ნუ გაიტეხ, ეს მეგობრები მათ გაჭირების დროს დახმარებას ვერ გაუწევენ და ჩვენგან კი ჩამოურეცხ ფურთხსა და სამუდამო ზიზღს იმსახურებენ.

**მთიელი.**



## აგენტების საყურადღებოთ!!!

ზოგიერთმა ჩვენმა აგენტებმა ძალიან გაიტეხეს პირი და ფულებს აღარ გვიგზავნიან. დღემდე რამდენჯერმე მივმართეთ მეგობრულათ, მაგრამ ამაოთ. ეხლა კი იძულებული შევიქენით უკანასკნელ საშუალებას მივმართოთ: **ის აგენტი, რომელიც ამ ერთი კვირის განმავლობაში სრულად არ გაასწორებს ანგარიშს შემდეგ ნომერს ველარ მიიღებს, მისი სახელ გვარი გამოცხადდება ჟურნალში და ,,მათრახის‘‘ კუდიც ამოძრავდება.**

რედაქტორ-გამომცემელი
თ. ბოლქვაძე.

ელექტრომბეჭდავი ამხანაგობა „შრომა“ მიხეილის პროსპექტი, № 65.